ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1764874

ნომერი: AR1290734

თარიღი : 02.03.2015

გაცემის თარიღი : 06.03.2015

გაცნობის თარიღი : 11.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე გიორგაძე პ/ნ 01026008536
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 46 ბ. 8

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1290734 02.03.2015 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.72.14.033.045 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით გაცემულ #624814 18.04.2013 გადაწყვეტილებაში–მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები–ცვლილებას, კერძოდ საპროექტო ობიექტის დასახელებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული დოკუმენდაციის საფუძველზე არქიტექტურული პროექტი არ არის შეთანხმებული მიზანშეწონილია შეცვალოთ ნომენკლატურა და განაცხადი ატვირთოთ ვებ გვერდზე TAS.GE ელექტრონული განცხადებები – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება – და მოითხოვოთ #624814 18.04.2013 გადაწყვეტილების გაუქმება და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა. ამასთან გაცნობებთ, რომ ტერიტორიაზე მოქმედ საცხოვრებელ ზონა 3–ში (სზ–3) შესაძლებელია განთავდეს დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დანართზე დატანილი განაშენიანების რეგულირების 3 მ–იანი ხაზის დაცვით (იხ. დანართი)

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2015 წლის 02 მარტს საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნის დასაზუსტებლად/ნომენკლატურის შესაცვლელად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 8 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაზუსტებული მოთხოვნა, საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.